



საჯარო საჯაროობის
იურიდიული პირი

სამართლებრივ ტექნიკური
უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY
OF PUBLIC LAW

GEORGIAN TECHNICAL
UNIVERSITY



01-09-35/1721

დ.წ. 06 2018

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

თქვენი 2018 წლის 4 ივნისის №4084 წერილის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭომ (2018 წლის 8 ივნისის ოქმი №15) საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე წარსადგენად განიხილა პროფესორ ჯემალ გახოკიძის კანდიდატურა და ერთხმად დაუჭირა მხარი.

ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე პროფესორ ჯემალ გახოკიძის კანდიდატურის წარდგინების თაობაზე, რომელმაც თავისი დადგენილებით (2018 წლის 18 ივნისის დადგენილება №01-05-04/135) ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია და დღის წესრიგში მწვავედ დააყენა მთავარი პროკურორის საყოველთაოდ შერჩევის საკითხი. ნათლად გამოიკვეთა მთავარი და უპირველესი კრიტერიუმი _ შვირჩეს ამ დარგის მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, პროფესიონალი კადრი სრულიად გამჭვირვალე ბიოგრაფიით.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე დროულად და საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი უმაღლესი დონის პროფესიონალის დასახელება, როგორცაა სამართლისა და

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი, ბატონი ჯემალ გახოკიძე.

ჯემალ გახოკიძე შინაგან საქმეთა სამინისტროში 24 წლიანი კარიერის მანძილზე იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, 1988-1996 წლებში – საგამომძიებო სამმართველოს უფროსი და დამოუკიდებელი საგამომძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე. აღსანიშნავია, რომ 1993 წელს მისი ინიციატივით საგამომძიებო სამსახურები გამოვეო შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ სამსახურებს და შეიქმნა დამოუკიდებელი საგამომძიებო დეპარტამენტი. 1993-1996 წლებში იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა რეზონანსული საქმეების, კერძოდ ორგანიზებული დანაშაულის მათ შორის მხედრიონის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებას. მისი აქტიური და უშუალო მონაწილეობით შესაძლებელი შეიქნა 1997-1998 წლებში თავიდან აგვეცილებია სამოქალაქო დაპირისპირება და სისხლისღვრა.

1997-1998 წლებში იყო უშიშროების მინისტრი, 1999-2004 წლებში – უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციულ მუშაობას, მათ შორის პროკურატურის ორგანოებსაც.

2004 წელს, როგორც მეცნიერებათა დოქტორი და სისხლის სამართლის დარგის გამოჩენილი სპეციალისტი, არჩეულ იქნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ. 2006 წელს სხვა მოსამართლეებთან ერთად საქართველოს პარლამენტმა შეუწყვიტა უფლებამოსილება.

1987 წლიდან ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2007 წლიდან დღემდე მოღვაწეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სისხლის სამართლის მიმართულებით. ამავე დროს, 2010 წლიდან არჩეულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) თავმჯდომარედ, ხელმძღვანელობს რამდენიმე დოქტორანტს, მათ შორის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს. არის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი.

დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია გამოძიების ორგანიზაციის სრულყოფის პრობლემებზე, ხოლო სადოქტორო დისერტაცია – საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებზე. არის 80-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის

ავტორი. მიღებული აქვს მონაწილეობა სამიტებში და 40-მდე საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში. ამავე დროს, მისი რედაქტორობითა და ხელმძღვანელობით გამოიცა სახელმძღვანელოები სისხლის სამართლის პროცესში (ზოგადი და კერძო ნაწილი), სისხლის სამართალში (ზოგადი ნაწილი) და საგამომიებო სამართალში ორ წიგნად, ასევე, თანაავტორობით სახელმძღვანელო კრიმინოლოგიაში.


ცალკე გვინდა გამოვეყოთ მისი ღვაწლი ისეთი კანონპროექტების მომზადებაში როგორცაა: კანონი „პოლიციის შესახებ“, კანონი „ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და კანონი „სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შესახებ“. ამავე დროს, ჯერ კიდევ 1997 წელს მან პროფესორ ვია მეფარიშვილთან ერთად შეიმუშავა კანონპროექტი „საქართველოს დამოუკიდებელი საგამომიებო სამსახურის შესახებ“. მისი ინიციატივით არაერთი ცვლილება განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსსა თუ სხვა ნორმატიული აქტებში.

ამ მოღვაწეობის შედეგად ქვეყანამ მიიღო ასობით კვალიფიციური იურისტი, მისმა სამეცნიერო ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იურიდიული მეცნიერების განვითარებაში, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო, საგამომიებო და საპროკურორო სამართლის სახელმძღვანელოები ყველა იურისტისათვის სამაგიდო წიგნია.

არის იურიდიულ მეცნიერებათა და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის და ღირსების ორდენებით, ასევე სხვა სამთავრობო ჯილდოებით.

ზატონი ჯემალი სისხლის სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია. თავისი ზნეობისა და პროფესიული თვისებების გამო მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში. იგი საქმით წარმოჩინებული, ზნეობრივ-მოქალაქეობრივი თუ პროფესიული თვისებებით გარშემოჭყფთათვის მისაბაძი და სამაგალითოა. სწორედაც მისი კანდიდატურა მთავარი პროკურორის პოზიციაზე ქვეყნისათვის ასეთ დეფიციტურ ვითარებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

პატივისცემით,



არჩილ ფრანგიშვილი

რექტორი

საქართველოს იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს

№105/ 27.6.2018

გეგზავნებთ ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის შუამდგომლობა საქართველოს მთავარი პროკურორის (გენერალური პროკურორის) თანამდებობის დასაკავებლად საპროკურორო საბჭოში პროფესორ ჯემალ გაბოკიძის წარდგენის შესახებ

აკადემიის პრეზიდენტი,

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი,

პროფესორი



მ.ფაფიაშვილი

საპროკუროროს მისამართის საინფორმაციო
აქტივობისათვის (დოკუმენტის)
საინფორმაციო-საპროკურორო
" 29 06 2018
№ 01/19709

შუამდგომლობა საქართველოს შთავარი პროკურორად პროფესორ ჯემალ გახოკიძის წარდგენის შესახებ

საქართველოს იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა!

უპიორველესად მოგესალმებით და მოკრძალებული პატივისცემით მოგმართავთ თხოვნით საქართველოს შთავარი პროკურორის (გენერალური პროკურორის) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საპროკურო საბჭოს წარუდგინოთ სამართლის დარგის გამოჩენილი სპეციალისტი, დიდი პრაქტიკული გამოცდილებისა და თეორიული ცოდნით აღჭურვილი სამართალმცოდნე, იურიდიული მეცნიერებისა და პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი, უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპიკერი, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი ჯემალ გახოკიძე.

ბატონმა ჯემალ გახოკიძემ კეთილსინდისიერად და შეუბღალავად განვლო პრაქტიკოს იურისტის რთული და საინტერესო გზა. თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი ჯერ მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროს სისტემაში გამომძიებლად, საგამომძიებო სამმართველოს უფროსად და მინისტრის მოადგილედ შემდეგ იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, საქართველოს უშიშროების მინისტრი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. 2009 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და წარმომადგენლობითი საბჭოს-სენატის თავმჯდომარე. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის, გამომძიების, პოლიტიკური და სისხლისსამართლის მიმართულებით არსებულ სხვა პრობლემურ საკითხებზე.

ბატონი ჯემალი პიროვნულადაც ხასიათდება როგორც შეუვალი, ობიექტური, უშიშარი, მოუსყიდავი და პატრიოტული სულისკვეთებით ჩამოყალიბებული მეცნიერ-პრაქტიკოსი იურისტი და მისი არჩევა საქართველოს გენერალურ პროკურორად უდაოდ წაადგება საქართველოში დამნაშავეობასთან ბრძოლის დღევანდელ რთულ გარემო-ვითარებას.

პატივისცემით,

ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის

პრეზიდენტი, იურიდიულ მეცნიერებათ დოქტორი,

იუსტიციის სახელმძღვანელო,

პროფესორი

27/06/2018



შოთა ფაფიაშვილი